

## იოვანე ქონქოზისძე

მეათე საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფის — იოვანე ქონქოზისძის სახელი შემოგვინახა მიქაელ მოდრეკილის იადგარმა, რომელშიც მოთავსებულია იოვანეს ერთადერთი თხზულება, მიძღვნილი აბო თბილელისადმი.

ცნობები იოვანე ქონქოზისძის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის შესახებ არ შემონახულა. კ. კეკელიძის შეხედულებით, მიუხედავად იმისა, რომ ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება, იგი ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო (3, 177). თვალსაზრისი ემყარება იმ ფაქტს, რომ იოვანე ქონქოზისძის სახელი არც ერთი სხვა ქართული საღვთისმეტყველო ცენტრის ხელნაწერებში არ მოიხსენიება და იგი მხოლოდ მიქაელის იადგარშია დადასტურებული. მისივე ვარაუდით, იოვანე მეათე საუკუნის მოღვაწე უნდა იყოს. პ. ინგოროყვამ საგალობლის წარწერაზე დაყრდნობით განაცხადა: „ივანე ქონქოზისძე, როგორც ირკვევა, საერო პირი ყოფილა, რასაც ადასტურებს სახელის ხალხური ფორმა ივანე (და არა იოვანე, როგორც ეს მიღებული იყო სასულიერო პირთათვის)... იშვიათი სახელი ქონქოზი (სახელი ივანეს მამისა) ჩვენ გვხვდება ზემოთ დასახელებულ სამცხის ერისთავთა მირიანისძეთა (ჩორჩანელთა) გვარეულობაში (ათონის კრ., გვ. 225, ალაპი № 37)“ (2, 866).

ჩვენი აზრით, საგალობლის წარწერიდან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ იოვანე ქონქოზისძე საერო პირი ყოფილა, რადგან მფსი სახელი თითქოს ხალხური ფორმითაა წარმოდგენილი. წარწერაში ავტორის სახელი დაქარაგმებულია. წერია „ივანე“. რაც იმას მიუთითებს, რომ სახელი ავტორისა ყოფილა არა ივანე, არამედ იოვანე, როგორც ეს მიღებული იყო ამ ეპოქის ონომასტიკონში. ამიტომ იგი ვერ გამოდგება იმის საბუთად, რომ იოვანე ქონქოზისძე საერო პირად მივიჩნიოთ. სავარაუდოებელია, რომ იგი სასულიერო პირი იყო. იოვანეს მამის სახელი ქონქოზი ყოფილა. ეს იშვიათი სახელი მართლაც დასტურდება პ. ინგოროყვას მიერ დასახელებულ ალაპში, მაგრამ იყო თუ არა ალაპში მოხსენიებული ქონქოზი ჩორჩანელთა საგვარეულოს წარმომადგენელი, ძნელი სათქმელია. რადგან ალაპი ქონქოზის გვარს არ ასახელებს. მოვიყვანთ ალაპს: „თუესა იანვარსა კბ ალაპი არს სულაძსი. თარსმანის და ჩორჩანელისა მამისაჲ და ქონქოზისი და ცუარისაჲ. იგივე ზემოწერილი წესი ლოცვისაჲ აღესრულენ და ჟამის წირუაჲ და ოთხოთხი სასუმელი ტრაპეზსა“ (1, 225). ალაპი მხოლოდ იმ ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას იძლევა, რომ აქ მოხსენიებული პირები, მათ შორის ქონქოზიც, ჩორჩანელები იყვნენ.

ამრიგად, სავარაუდოებელია, რომ იოვანე ქონქოზისძე ყოფილიყო სასულიერო პირი და ჩორჩანელთა საგვარეულოს წარმომადგენელი. მას უმოღვაწეობა მეათე საუკუნეში ტაო-კლარჯეთის სამონასტრო-საღვთისმეტყველო ცენტრში, კერძოდ, რომელ მონასტერში. ჯერჯერობით უცნობია.

იოვანე ქონქოზისძის საგალობელი მოთავსებულია მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიულ კრებულში, იადგარში, ნათლისღებისა და აბო თბილელისადმი მიძღვნილ საგალობელთა შორის, რომელსაც აქვს წარწერა: „თუ-

ესა იანვარსა ზ: კრებაჲ ტიბერიასკე ზღუს კიდესა: დღესასწაულთაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტის და ესნილებჲა ლუკაჲსი მოსილისა უძლეველისა მოწამისა ჰაბო ისმაიტელ ყოფილისა ქართველისაჲ. აბოს სახელზე კრებულში შეტანილი სამი პიმნოგრაფიული კანონიდან პირველი სწორედ იოვანე ქონქოზისძის თხზულებაა. მას წინ სამი მცირე ფორმის საგალობელი უძღვის: „უფალო ღაღადყავსა“, რომლის კმაჲ არის დ: აბოჲსნი“, რომლის ხმა არ არის საგანგებოდ მითითებული და, რაკი წინა გალობის ხმა არის დ (მეოთხე). ჩანს, ისიც მეოთხე ხმისაა. და აკროსტიქული „ოხითაჲ“, რომლის კმა ა გუერდია (აკროსტიქში იკითხება „გხნ აბო“). იოვანე ქონქოზისძის კანონთან ხმა მითითებული არ არის. ჩანს, იგი წინა, მცირე ფორმის გალობის „ოხითაჲს“ ხმაზე. ე. ი. ა გუერდის. ანუ მეხუთე ხმაზე შესასრულებელი კანონია. მას მოსდევს ასევე მცირე ფორმის გალობა. ანუ სტიქარონი. „აქებდითსა“, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში მეთავე გალობას უწოდებენ. პიმნოგრაფიულ კანონს დართული მცირე ფორმის არც ერთი საგალობელი იოვანე ქონქოზისძისა არ არის. რადგან წარწერა „იოვანე ქონქოზისძისანი“ მხოლოდ კანონის წინ გვხვდება. რაც გამორიცხავს მის წინ მოთავსებულ მცირე საგალობელთა ავტორად იოვანეს მიჩნევას. იოვანე ქონქოზისძის საგალობელი შემონახულია მხოლოდ მიქაელ მოდრეკილის იადგარით. იგი არ შეუტანიათ არც სინურ, არც იერუსალიმურ იადგარებში. იგი არც გიორგი ათონელის „თვენში“ დასტურდება ამ კრებულის შედგენის პრინციპების გამო, რადგან თვენში მხოლოდ მსოფლიო ეკლესიის მიერ აღიარებული ეროვნული წმინდანებისადმი მიძღვნილი საგალობლები შექმნდათ.

იოვანე ქონქოზისძის თხზულება პირველად გამოსცა პ. ინგოროყვამ „ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში“ 1913 წელს, რომელსაც დაეყრდნო ყველა შემდგომი გამოცემა (ს. ყუბანეიშვილი, ს. ცაიშვილი). მცირე ფორმის ოთხივე საგალობელი, რომლებიც კანონს ახლავს, მიჩნეულია მიქაელ მოდრეკილისად და ასეცაა დაბეჭდილი გამოცემებში.

პ. ინგოროყვამ საგალობლის ტექსტი სალექსო საზომის მიხედვით გამართა. ს. ცაიშვილმა, მართალია, ტექსტი პ. ინგოროყვას გამოცემის მიხედვით დაბეჭდა, მაგრამ შენიშვნებში აღნიშნა, რომ იგი არ არის გამართული იმ ძლისპირთა მიხედვით, რომლებიც მითითებულია ყოველი გალობის წინ. ნიმუშად მან პირველი გალობის პირველი ტროპარი მითითებული ძლისპირის მიხედვით გააწყო. საგალობლის ტექსტის სწორი პოეტური საზომით დაბეჭდვა მან მომავლის საქმედ მიიჩნია (5, 315).

იოვანე ქონქოზისძის თხზულება პიმნოგრაფიული კანონია, რომელიც მ გალობისაგან შედგება. ხელნაწერის არშიაზე ჯვრით არის აღნიშნული საგალობლის ყოველი გალობის დასაწყისი და დასასრული, რაც საერთოდ ხასიათებს მიქაელ მოდრეკილის იადგარს.

საგალობელი სახარებისეული ქრისტეს ნათლისღების მისაქირიის თემაზეა აგებული და მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული წმიდა მოწამის აბოთბილელის წამება ქრისტეს სჯულზე მოქცევის გამო. იგი ეყრდნობა პაგიოგრაფიულ მონათხრობს საგალობელში აბო უკვე წმინდანად აღიარებული ჩანს. ყოველი გალობის პირველი ტროპარი ნათლისღების დღესასწაულს უძღვნება, ხოლო დანარჩენი ტროპარები — აბოს. არის ისეთი ტროპარებიც, რომლებიც ერთდროულად ორსავე თემას ასახავენ. ასეთ შემთხვევაში პიმნოგრაფიისათვის საყრდენი სახეთა პარალელიზმია. ყოველი გალობა მთავრ-

დება ღმრთისმშობლისანით, რომლის მხოლოდ საწყისი სიტყვებთა მოთხრობული, მსგავსად ძლისპირებისა.

საგალობელი კიმნოგრაფიული ჟანრისათვის დამახასიათებელ გამოხატულებით საშუალებებსა და ხერხებს ემყარება. აგრეთვე, იგი სავსეა ღრმა ფსიქოლოგიური განცდებით. სხვა კიმნოგრაფთა მსგავსად, იოვანე ქონქობისძეც აღიარებს საკუთარ უძლურებას და დიდ გაბედულებად მიიჩნევს საგალობლის შექმნას ნათლისღების დღესასწაულისა და წმიდა აბოს მოწამეობის შესახებ: ღმერთს შესთხოვს ჯეროვანი შემკობისათვის „სული სიბრძნისაჲს“ განახლებას. საგალობლის ბოლო ტროპარით იოვანეს ნაღვაწი მიჩნეულია, ვითარცა „კნინი ესე ძლუნნი“.

იოვანე ქონქობისძე განადიდებს ნათლისღების საუფლო დღესასწაულს და პარალელურად აფასებს აბოს მოწამეობრივ ღვაწლს ქრისტიანული მრწამსის დაცვის გამო. კიმნოგრაფი აბოს მოიხსენიებს რამდენიმე ისეთი სახელით, რომლითაც ამავე საგალობელში ღმერთია გამოხატული. ღმერთის სახელებად ვხვდებით ღვთისმეტყველებაში დამკვიდრებულ საღვთო ატრიბუტებს: უცნაური, ღმერთი მაღალი, მხსნელი, შეუწირული ღმერთი, გზაჲ სიკუდილისაჲ, წყარო ცხოვრებისა, საუკუნოთა მფლობელი უფალი, აღმალღებული ღმერთი მამათა ჩუონთაჲ: იესო ქრისტე არის „იესეს ძირთაგან სიწმიდით აღმოცენებული“, მხოლოდ ძეა ღმრთისაჲ, თანასწორი მამისაჲ, ხათლისღებით განმგებელი და წყლით განმძარცველი ადამიანთა ცოდვებისა. ღმრთისა სიტყუაჲ, ღმრთისა სიბრძნე; განმარტებას საჭიროებს ძე ღმერთის სახელთაგან „პირმშო მკუდართა“. საგალობლის ეს ტროპარი ერთგვარი პერიფრაზია პავლეს კორინთელთა მიმართ I ეპისტოლის შემდეგი მუხლისა: „პირველი იგი კაცი ქუჩიანისაგან მიწისაჲ, ხოლო მეორე იგი კაცი უფალი ზუციით“ (I კორ. 15, 47). „პირმშოჲ ხატი“ პავლეს განმარტებული აქვს, როგორც მაგალითი, პირველსახე ყოველთა დაბადებულთა (კოლას 1, 15 - 16; 1, 18—19; რომ. 8, 29; ებრ. 1, 6). ამ შემთხვევაში საყურადღებოა გამოთქმის „პირმშოჲ მკუდრეთით“ განმარტება: „და იგი არს თავი გუამისა მის ეკლესიისაჲ, რომელი იქმნა დასაბამი, პირმშოჲ მკუდრეთით, რაჲთა იყოს იგი თავადი ყოველსა შინა მთავარ, რამეთუ მას შინა სათნო იყო თოლივე სავსება დამკუდრებად“ (კოლას. 1, 18—19). ასევე, უაღრესად მნიშვნელოვანია გამოცხადების შემდეგი მუხლი: „და იესუ ქრისტესგან, მოწამისა მის სარწმუნოესა, პირმშოესა შესუენებულთაჲსა და მთავრისა ბოლოთა ქუჩიანისათა, რომელმან შემოიყუარა ჩუენ და განგუბანა იოდვითა ჩუონთაგან სისხლითა თუსითა“ (გამოცხ. 1, 5). მიქაელ ფსელოსმა თავის თხზულებაში „პირმშოესათუს“ კომენტარი გაუკეთა პავლეს ეპისტოლიებსა და იოანეს „გამოცხადებაში“ ნახსენებ „პირმშო მკუდართას“. მისი შეხედულებით, ქრისტე არის უმაღლესი ღვთიური მოძღვრების მქადაგებელი, იგი იწოდება პირმშოდ იმ „ვიეთმე ძმათა“ შორის, რომელთაც ამ ღვთიური მოძღვრების მიხედვით „განსწავლნეს თავნი თუსნი“. ქრისტე შეიქმნა „მკუდართაგან“ პირველშობილიც, რადგან მასზე უწინ „განმგებელი მკუდრობისა“ სხვა არავინ გაყოცხლებულა, ხოლო იგი, ვითარცა პირმშო, სოფლად „შეზოყვანებულ იქმნების წინასწარმოკყუოლისა დანიელისებრ“. მართალთა და იოდვილთა განკითხვის დღეს, ამიტომ მართებს ადამიანს კეთილ საქმიებაზე ფიქრი და ზრუნვა, ქველმოქმედებისათვის ღვაწა, რათა პირმშოს მორჩედ შემოყვანის დროს არა შეგშოთნეთ და უსიკეთოდ ვიქმნეთ ჩუენ მიერ აქა ქმნილთათუს“ (4, 81—83). პირმშოს განმარტაობენ თსევდოდოთონისე არქოპაგელი, ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი, ეფრემ მცირე, იოანე პეტ-

რიწი და სხვა წმიდა მამები. მათი თვალსაზრისით, ღმერთმა ადამიანს სრულყოფის გზის საძიებლად და საჩვენებლად მოავლინა ქრისტე — ძე ღვთისა, პირმშო თვისი. დაკარგული ბუნების მოსაპოვებლად. „ყელაყელსდგებხად „პირმშო კაცი“ მოავლინა. იოვანე ქონქოზისძის „პირმშო მკუდართა“ გულისხმობს ქრისტეს, ძეს ღვთისას, რომელიც ადამის მოდგმის ცოდვათა გაშოსასყიდად განკაცნა სამებით სრულმა ერთმა ღმერთმა, მისცა მას მარტირი, ანუ ადამიანური, კაცობრივი სახე. იგი არის ადამიანური ბუნების განმაახლებელი, ზნა სიცოცხლის მიმნიჭებელი, რომელიც არევენებს ყოველ მორწმუნეს გზას ზესთასოფლისაკენ. თვით „ძემან ღმრთისამან ბუნებთა ძმად გეწოდა ჩუენ მადლით, რაჟამს ბუნებთა ჩუენი მიიღო“

იოვანე ქონქოზისძე სამებას საინტერესო ფორმით გამოხატავს: „მამისა კმამ და სულისა მოსლვაა განკაცებულსა მას ღმრთად გუაუწყებს, რომლისათუს ჰაბო სიკუდილსა თავს იდებს“. აქ უთუოდ უნდა აღინიშნოს ღმერთის გამოსახატად გამოყენება მიმართებითი ნაცვალსახელისა „რომელმან“, რომლითაც იწყება აბოსადმი მიძღვნილი ეს პიმნოგრაფიული კანონი. მისი პოლისემიურობა ნათლად იკვეთება საგალობელში. იგი აღნიშნავს ღმერთს, როგორც ერთარსება სამებას, ე. ი. არსობრივად გამოხატავს მას: ასევე მისი პიპოსტასის ძე ღმერთის აღმნიშვნელიცაა. იოვანე ქონქოზისძის საგალობელში იგი ანგელოზებსაც მიემართება: „ემბაზსა მას გამოქსნისასა დღეს მდინარესა განმაცხოველებელსა იორდანესა უსხეულოთა განწყობილებათა გარემოადგს. რომელნი ნათელლებულსა შეასხმენ“. იგი მიემართება იოვანე ნათლისმცემელს: „რომელმან შინაგანნი სახედველნი საღმრთოთათა ხილვითა წმიდა ჰყვენი, წინამორბედო...“ „რომელი“ აბოსაც მიესადაგება: „...მოშურნეთა მათ ცეცხლითა დაწუეს, რომელსა პატივსცემთ მეტყუელნი“... „რომელი“ არის აგრეთვე მორწმუნეთა გამოხატველიც: „რომელნი ქრისტესს თანა დავეფლენით, ნათლისღებითა ევმსგავსენით მას“...

ამრიგად, იოვანე ქონქოზისძე ტრადიციულად გამოხატავს ღმერთის არსობრივ და პიპოსტასურ სახელებს, რომელთა ნაწილს უსადაგებს საგალობლის ჭების ობიექტს — აბოს.

საგალობლის მიხედვით, აბო არის ქრისტეს ქადაგი, ქრისტეს ვნებათა ზიარი, ნეტარი. მხნე, მხსნელი, ყოვლად ქებული, ღირსი, მოწამეი ქრისტეს ვნებათა, ქალდეველთა ქვეყნისაგან გამოსვლით მამამთავრის მსგავსი, აბრაამის ჭეშმარიტი შვილი. განშუენებული, გვრგვნითა დაუჭნობელითა, მაცხოვრის მიერ ძლევის გვირგვინმინიჭებული, სულის განწმენდით ღმრთის ხატების შემამკობელი, ჯვარცმულისათვის შეწირული. პავლეს მსგავსად, იგი სამსჯავროზე წარადგინეს და „უშჯულომან მძლავრმან განაჩინა სიკუდილი საწადელი“. აბომ მიიღო „სასუმელი განმაცხოველებელი მახვლითა“ და „გონებითა მიიცვალა უზეშთაესსა ცხოვრებასა წმიდათა“... მისი „გუამი, შრომითა განწმენდილი, საღმრთოთა ცეცხლისა შეერთებითა მარადის ეგზებოდა“... აბო „ტრფიალ იქმნა შჯულსა მას სულიერსა, რომელმან განგათავისუფლა შენ საშჯელისა მისგან სიკუდილისა“.

საგალობელი გამოხატავს თეოზისისა და იზოთეოსის იდეებს, სულიერი განწმენდის, მეორედ შობის, ანუ სულიერი ზეალსვლის, მისტიკრიას, ქრისტეს ყოველი აღმსარებელი ნათლისღებით ემსგავსა მას. რითაც განშორდა განხრწნადთა განზრახვათ და დაიცვა „ბეჭედი ნათლისა“. მოწამე აბომ თავისი სისხლით მოიგო „მეორედ შობა“ და ღვთის სიკეთის გონებრივი შეცნობით სულიერი განწმენდით შეამკო „ხატება ღმრთისა“. ძე ღმერთმა ადამიანური ბუნების მიღებით ადამიანთა სულიერი განწმენდისა და

ქანახლებისათვის ნათელილო იოანე წინამორბედისაგან, უცოდველმა თავს  
 იფუძვრა კაცობრიობის განწმენდა.

საგალობელი თემატურად წინასწარვეა განსაზღვრული, ამიტომ იქვე  
 ნათლისმცემლის, ვითარცა წინასწარმეტყველისა და წინამორბე-  
 დის, საღმრთო ხილვით განწმენდილი „შინაგანნი სახედველნი“ მიმართუ-  
 ლია ღმერთისაკენ, რომელმაც მისგან მიიღო ნათელი: „რომელმან  
 შინაგანნი სახედველნი საღმრთოთა ხილვითა წმიდა ჰყვენი, წინამორბედო,  
 ზნეან ნათელს-ღებულსა დღეს მოსწრაფედ შეუდგა კაბო და მისთვის სიკუ-  
 ჭილი დაითმინა“. ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიხედვით, ყოველი  
 ადამიანი ღვთაებისაკენ მიისწრაფვის, რაშიც უდიდესი როლი ეკისრება  
 სულიერ ხილვას, ღვთის ჭკრეტას. კაცობრიობა ცდილობს ღმერთთან მიახ-  
 ლეობას. ამქვეყნიური სულიერი და ადამიანური სრულყოფილებით. ადამი-  
 ანი სულიერი თვალთ, ანუ „შინაგანნი სახედველით“, იხილავს ღვთის ნა-  
 თელს, ღმერთს. სულიერი ხილვით ხდება შესაძლებელი საღმრთო გზით, ღვ-  
 თის მცნებათა გზით სვლა, რაც აუცილებელია სულიერი ამაღლებისათვის,  
 განღმრთობისათვის. საღმრთო ხილვის მადლი მინიჭებული აქვთ მხოლოდ  
 ჩვეულებრივ, ხოლო ღმერთის ხილვა, მისი წვდომა ცოდნით შეუძლებელია, ამი-  
 ანთვის რწმენაა საჭირო. ამ რწმენამ მიიყვანა აბო ისმაიტელ-ყოფილი ქრის-  
 ტიანულ რელიგიასთან, ქრისტესთან. რომლისთვისაც სიხარულით ევნო და  
 ექაშა.

იოვანე ქონჯოზისძის საგალობელი წარმოსახავს საკრალიზებულ დროსა  
 და სივრცეს. სივრცული თვალსაზრისით საგალობლის მოქმედების არეალი  
 წმინდა მდინარე იორდანეა, სადაც ნათელს იღებს იესო ქრისტე: „ემბახსა  
 მას გამოქსნისასა დღეს მდინარესა განმაცხოველებელსა იორდანესა უსხე-  
 ულთა განწყობილებაი გარემოადგს“. მოსეს მიერ ნისლში ღვთის ხილვა  
 ხინას წმიდა მთაზე და ქრისტეს გამოჩენა იორდანეში თანაბარ საკრალიზე-  
 ბულ სივრცეს ქმნის, რადგან მოსე წინასწარმეტყველმა სწორედ აქ მიიღო  
 ღვთისაგან მცნებები, რათა კაცობრიობისათვის ეუწყებინა და მიეცა შესა-  
 ძლებლობა საღმრთო გზაზე სვლისა, ხოლო იორდანეში იოანე წინამორბე-  
 დისაგან, ნათლისმცემლისაგან ნათელღებულმა ქრისტემ, შობილთაგან უცო-  
 დველმა, დასაბამი მისცა ადამიანთა სულიერ განწმენდას, ე. ი. სივრცული  
 გახზომილება მდინარე იორდანისა უშუალოდ საფუძველია სიახლისა დრო-  
 ს თვალსაზრისით. ნათლისღების დღესასწაული „ქრისტეშობისაგან სოფლისა  
 კხნისა დასაბამ არს“, რაც იმას გულისხმობს, რომ უყამო ჟამი, ზედროულო-  
 ბა ჟამში მოექცა. როდესაც კიმნოგრაფი მიმართავს წმინდა მოწამე აბოს,  
 რომ დღეს მისი დღესასწაულია, დღეს ქრისტესგან გამოითხოვა ჩვენი. მო-  
 რწმუნეთა, სულიერი გამოხსნა, დღეს თვით ავტორი საუფლო კრებაზე ნათ-  
 ლისღების დღესასწაულისა და წმინდა აბოს მაქებრად გამოჩნდა: დროის  
 აღმნიშვნელი სიტყვა „დღეს“ კონკრეტულ დროსაც გამოხატავს და ზედროუ-  
 ლიცაა.

იოვანე ქონჯოზისძის საგალობელი საყურადღებოა პოეტიკის თვალ-  
 საზრისითაც. იგი შინაგანი რიტმით გამორჩეული პოეტური ნაწარმოებია,  
 რომელშიც რიტმი ამაღლებულ განწყობილებას ქმნის და თხზულებას ეს-  
 თეტიკურ ფუნქციას ანიჭებს. საგალობელში გამოყენებული ევფონიური ხერ-  
 ზები, კერძოდ ალიტერაცია, ყურადღებას შეაჩერებენ სწორედ გან-  
 საკუთრებით მნიშვნელოვანზე, ამაღლებულზე (მაგ., „რომელი ნის-  
 ლსა შინა ერუენა მოსეს უცნაურად, ღმერთი მაღალი, გამოჩნდა იორ-  
 დანეს და საცნაურ იქმნა კმითა ოხრითა მამისათა, რომლითა ვიც-  
 ანთ მხოლოდ ძეი ღმერთისაჲ, თანასწორი მამისაჲ“. ტროპარში მოხმო-

ბილი სიტყვების — უცნაურად, საცნაურ, ვიკანთ — სემანტიკური ველი ერთიანია და ადამიანისაგან ღვთის შეცნობის შესაძლებლობებს მიუყვება. „შეუძლებელ იყო შეუხებელი სა უნივთოსა მის შანთისა ღმერთებისა შესებაჲ, ამისთვის, განჯორციელდა ძეი ღმერთისაჲ, მხოლოდშობილი, განბანად უცოდველი, რომლისა შეიწირა დღეს ქაბო“. „შ“ ბგერით შექმნილი სემანტიკური ველის არეალი ძალზე ვრცელია, რადგან მინიმუმ ბულია ღმერთის შესების შეუძლებლობა. „გ ა ნ ზ რ ა ხ ე ა თ ა გ ა ნ გ ა ნ ს რ წ ნ ა დ თ ა გ ა ნ ვ ე შ ო რ ნ ე თ“ — „გან“ ზმნისწინის განმეორებით სიმბოლოურად, უკეთურებისაგან განდგომა იკვეთება. საყურადღებოა „ლაღადყავსას“ პირველი ტროპარი, ნათლისღების დღესასწაულისადმი მიძღვნილი: „ძემა ღმერთისამან ბუნებით ძმად გვწოდა ჩუენ მადლით, რაჟამს-იგი ბუნება ჩუენი მიიღო და განწმენდისა ჩუენისათვის განწმედაჲ თავს იდუა უცოდველმან წინამორბედისაგან“. მასში „ჩუენ“ ნაცვალსახელის სამგზის განმეორებით ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ ძე ღმერთმა ადამიანთათვის, ჩვენთვის, მიიღო ადამიანური სახე და ნათელიღო, რათა განწმენდილიყავით ყოველი ცოდვისაგან. „ადიდებდითსას“ პირველ ტროპარში „აღ“ ზმნისწინის განმეორებით სულის ზეალსვლის აუცილებლობასთან ერთად იესუს ძირის სიწმიდეა მითითებული: „აღმოცენებით აღმოჰკედ ძირთაგან იესუსთა სიწმიდით“. საგალობლის რამდენიმე ტროპარს რეგრენად გასდევს სიტყვები: „აღმალლებულო ღმერთო მამათა ჩუენთაო, უფროსად კურთხეულ ხარ შენ“.

ამრიგად, თვანე ქონქოზისძის საგალობელი კიმნოგრაფიული ჟანრის სპეციფიკურ ნიშან-თვისებათა გათვალისწინებითაა შექმნილი. იგი მდიდარია სიმბოლოებით, საზოგადოდ, სახისმეტყველებით, რაც ავტორის ლიტერატურულ გემოვნებაზე მეტყველებს.

#### დამოწმებული ლიტერატურა

1. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი ძეგლებით, საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, თბ., 1961.
2. კონგოროევა, გიორგი შერჩულე, თბ., 1954.
3. ე. ე. ელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, თბ., 1960.
4. ი. ლოლაშვილი, მიქაელ ფსელოსის ფილოსოფიურ-ეგზეგეტიკური ტრაქტატი „პირშომოსათჳს“, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, 11, თბ., 1964.
5. ქართული პოეზია, 1, ს. ცაიშვილის წინასიტყვაობით, თბ., 1979.

Н. В. СУЛАВА

### ИОАННЭ КОНКОЗИСДЗЕ

#### Резюме

С именем грузинского гимнографа X века Иоаннэ Конкозисдзе связано лишь одно песнопение (гимнографический канон), посвященное святому Або Тбилелн.

Песнопение выделяется своей высокохудожественной формой, в нем использованы символические приемы.

В статье исследуются богословские вопросы и художественные приемы, при помощи которых песнопение становится блестящим гимнографическим произведением.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთაველის სახელობის განყოფილება  
წარმოდგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა